

დებატების პროგრამის გავლენა კონფლიქტის მოგვარების უნარ- ჩვევებზე მოზარდებთან

ავტორები:

გუგული მაღრაძე, პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ.ფოსტა: gugulimagradze@gmail.com

თინათინ ცერცვაძე, კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა: tinatin.tsertsvadze@yahoo.com

აბსტრაქტი

აკადემიურ განათლებასთან ერთად გადამწყვეტია არაფორმალური განათლება, ახალგაზრდებში კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის და შესაბამისად, კონსტრუქციული კამათისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, რაც ნებისმიერ სფეროში მოღვაწე თანამედროვე მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, XXI საუკუნეში, ისე როგორც არასდროს, კაცობრიობა დგას იმ თითქოსდა წარმოუდგენელი გამოწვევის წინაშე, როგორცაა საბაზისო კომუნიკაციის უნარების ნაკლებობა. ამ ყველაფრის ხელშესაწყობად ისეთი სახის სწავლებებია საჭირო, რომელიც თანამედროვე ადამიანისათვის ახლანდელ გარემოში ადაპტაციის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ჩვენ ვიკვლიეთ, როგორია ამ მიმართულებით არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საკმაოდ პოპულარული და ეფექტიანი სასწავლო პროგრამის - ფორმალური დებატების ტექნიკის მნიშვნელობა. ფორმალური დებატების სწავლების პრაქტიკა უკვე მრავალი წელია დანერგილია მსოფლიოში და უკვე საქართველოშიც აქტიურად დაინერგა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე დიგიტალიზაციის თანმდევ გამოწვევებთან გამკლავებაში.

ჩვენი კვლევის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს დებატების სასწავლო პროგრამა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ახალგაზრდებისა თუ ზრდასრულების თვითხატის პარამეტრებზე, რომლებიც პიროვნების განვითარების განმავლობაში განიცდიან ცვლილებას. თვითხატში ჩვენ ვგულისხმობთ შემდეგი ტიპის თვითობის მახასიათებლებს: თვითშეფასებას, თვითპრეზენტაციასა და თვითკონტროლს. გარდა ამისა, კვლევა ეხება ფორმალური დებატების ზეგავლენას კონსტრუქციულ მსჯელობასა და შესაბამისად, კონფლიქტის მართვისუნარიანობაზე სამიზნე აუდიტორიაში; ვინაიდან,

არსებულ რეალობაში, კონფლიქტი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, როგორც ყოველდღიურ, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში.

კვლევის ჰიპოთეზაა - დადგინდეს იმ მოსწავლეებში, რომლებიც გაივლიან ფორმალური დებატების სწავლების სრულ კურსს, რა გავლენას მოახდენს „მე“-ს ხატის ცვლილებებზე ეს სწავლება და როგორ აისახება ეს პიროვნების იმ მახასიათებლების ცვლილებაში, როგორცაა თვითშეფასება, თვითპრეზენტაცია, თვითკონტროლი და კონფლიქტების მართვის უნარი, რომლებიც რელევანტურია კონფლიქტის მართვისთვის. სამიზნე ჯგუფის წევრები იყვნენ იმ სკოლების მოსწავლეები, სადაც წარმატებულად დაინერგა დებატების სწავლება და აქტიურად ფუნქციონირებენ დებატების კლუბები. ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დებატკლუბების მოსწავლეებმა და ხელმძღვანელმა მასწავლებლებმა, საქართველოს ყველა რეგიონიდან.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, თვითშეფასება, დებატები, ბრაზის მართვა, ემოციები

The Impact of a Debate Program on Adolescents' Conflict Resolution Skills

Guguli Magradze, Faculty of Social and Political Sciences, Department of Conflictology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, gugulimagradze@gmail.com

Tinatin Tsertsvadze, Faculty of Social and Political Sciences, PhD student, Department of Conflictology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, tinatin.tsertsvadze@yahoo.com

Abstract

In addition to academic education, non-formal education is crucial for the development of communication skills among young people and, accordingly, for the formation of skills necessary for constructive debate, which is of the utmost importance for a modern citizen working in any field. Because of all this, in the XXI century, humanity is faced with the seemingly unimaginable challenge of lacking basic communication skills. In order to facilitate this, such kind of teachings are needed, which would be the best way for a modern human to adapt to the current environment. We investigated the significance of one of the most popular and effective training programs of informal education in this direction - formal debate techniques. The practice of teaching formal debates has been introduced in the world for many years and has already been actively implemented in Georgia and plays an important role in dealing with the challenges of modern digitalization.

The research goal is to understand how a debate training program affects both short-term and long-term self-image parameters of youth and adults that change during personality

development. By self-image we mean the following types of self-characteristics: self-esteem, self-presentation and self-control. In addition, the study addresses the impact of formal debates on constructive reasoning and, therefore, conflict management skills in the target audience; Since, in the current reality, conflict is one of the most urgent problems, both in everyday and professional life.

The research hypothesis is to determine the effect on self-image in students who will undergo a full course of formal debate training and how this is reflected in changes in personality characteristics relevant to conflict management, such as self-esteem, self-presentation, self-control and conflict management skills.

The members of the target group were students and teachers of those schools where debate teaching was successfully introduced and debate clubs are actively functioning. Both quantitative and qualitative studies were conducted, in which students of debate clubs and teachers (that were heads of debate clubs) from all regions of Georgia participated.

Key words: *conflict, self-esteem, debate, anger management, emotions*

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიურმა პროგრესმა გააჩინა მრავალი პრობლემა, რაც აქამდე არ იყო აქტუალური. კომუნიკაციების მარტივი და ეფექტური არხების შექმნამ, სოციალური მედია პლატფორმების სახით, სხვადასხვა გამოწვევები წამოწია. ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირისპირ „რეალური“ კომუნიკაციის დისტანციური/ონლაინ ურთიერთობებით გადაჭარბებულად ჩანაცვლება. გარკვეულწილად ეფექტურმა თანამედროვე კომუნიკაციამ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სიმარტივესთან ერთად კომუნიკაციის პრობლემების გაჩენა განაპირობა. დღეს მსგავსი გამოწვევები განსაკუთრებით ჭარბობს ახალგაზრდებსა და მოზარდებში, რომელთა გარკვეული ნაწილი ამჯობინებს თანატოლებთან დისტანციურად ურთიერთობას სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. “The Wall Street Journal”-ის ერთ-ერთი კვლევის თანახმად, გამოკითხული მოზარდების ორი მესამედი ამჯობინებს თანატოლებთან ონლაინ კონტაქტს ვიდრე პირისპირ (Morris, 2018). მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურმა კომუნიკაციამ შესაძლოა გაამარტივა ურთიერთობები, პირისპირ ინტერპერსონალური კონტაქტების მნიშვნელობა ვერ ჩანაცვლდება თუნდაც ონლაინ მეგობრების მეტი რაოდენობით ანდა უფრო ხშირი დისტანციური კომუნიკაციით სხვა ადამიანებთან. პირისპირ შეხვედრები და ურთიერთობა, განსხვავებით ონლაინ კონტაქტებისა, მრავალი ბენეფიტის მქონეა ინდივიდების მენტალური ჯანმრთელობისთვის, და კვლევების თანახმად პირისპირ ინტერპერსონალური კომუნიკაცია შესაძლოა ადამიანს დაეხმაროს დეპრესიისა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) სიმპტომების წინააღმდეგაც კი (Mental Health May Benefit from Face-to-Face Social Contact – But Not Online, 2018).

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის შვილობილი მაკლინის საავადმყოფოს (McLean) კვლევების თანახმად კი დისტანციური კომუნიკაცია სოციალური ქსელების საშუალებით იწვევს მენტალური ჯანმრთელობის ისეთ პრობლემებს, როგორცაა შფოთვა და დეპრესია. თუმცა, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სოციალური მედია პლატფორმები შექმნილია ისე, რომ ადამიანს ხდიდეს დამოკიდებულს, ისინი არამხოლოდ მენტალურ, არამედ ხშირად ფიზიკურ პრობლემებთანაც ასოცირდებიან და უკიდურეს შემთხვევებში სუიციდის წინაპირობასაც წარმოადგენენ (The Social Dilemma: Social Media and Your Mental Health, 2022).

ამ თემაზე შესაძლოა მრავალი არგუმენტის მოყვანა, განხილვა და ანალიზი, თუმცა მნიშვნელოვანია იმ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევაზე გამახვილდეს ყურადღება, რაც საკმაოდ დიდი ზარალის მომტანია მომავალი თაობებისთვის, სწორედ თანამედროვე დიგიტალიზაციის გამო. კონტაქტები სოციალური ქსელების მეშვეობით აქვეითებს პირისპირი ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს (Jacob,

2021). ინტერპერსონალური ურთიერთობები კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის განვითარებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, გაუტოლდეს კიდევ უმაღლესი განათლების მიღებას. XXI საუკუნეში კი ამ კუთხით განვითარება, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის საკმაოდ რთულდება დისტანციური კომუნიკაციის არხების არსებობის გადაჭარბებული მოხმარებით, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა მიმდინარე პანდემიის გამო. ვინაიდან, სწორედ ამ არხების ზეგავლენით ინდივიდები, მათ შორის მოზარდები და ახალგაზრდები იქვეითებენ კომუნიკაციის ზოგად და ინტერპერსონალურ უნარებს და შორდებიან რეალურ სამყაროს. ამიტომ კომუნიკაციის სწორი უნარების ქონა ერთ-ერთ ყველაზე დიდი გამოწვევას წარმოადგენს დღევანდელ რეალობაში. მეტიც, “The Independent”-ის კვლევების თანახმად, სოციალური ქსელები და ონლაინ კომუნიკაცია ახალგაზრდებში ზრდის აგრესიასა და ძალადობას, რაც პირდაპირ მოქმედებს ყოველდღიურ ცხოვრებაში კონფლიქტების გახშირებაზე (Davis, 2022). ჩამოყალიბებული კომუნიკაციის უნარების ქონა კი მართლაც მნიშვნელოვანია, არამხოლოდ სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, არამედ კონფლიქტების მართვის კუთხითაც. ამისთვის სათანადო უნარების ნაკლებობის შემთხვევა კი იწვევს არამხოლოდ უმნიშვნელო პრობლემებს ყოველდღიური კონფლიქტების სახით, არამედ ისეთ კატასტროფებსაც როგორცაა ომები, რომლებსაც მხოლოდ წინა საუკუნეში 100 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა (Hedges, 2003). ხშირად კი ირკვევა, რომ ყველაზე დიდი, სასტიკი და უმოწყალო ომებიც კი სრულიად უბრალო კონფლიქტებით იწყებოდა, რომელთა საფუძველსაც არასოწორი კომუნიკაცია და შესაბამისად ცუდი მოსმენის უნარი განაპირობებდა.

ვინაიდან კომუნიკაციის უნარების დაქვეითება, აგრესიის მატება და კონფლიქტების მართვის უნარების ნაკლებობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს თანამედროვე ინდივიდისთვის, მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრის გზების მოფიქრება და შემდგომ აღმოფხვრაც. ამისთვის კი სოციალური ქსელების აკრძალვა და მათი გამოყენების შემცირება საკმაოდ რთული იქნება, შეუძლებელი თუ არა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის უნარების განვითარების ხელშეწყობა მოზარდებში, რაც დაეხმარება მათ პიროვნულ განვითარების მრავალ ასპექტში, როგორცაა კონსტრუქციული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, თვითპრეზენტაცია, თვითკონტროლი და სწორი თვითშეფასება.

ამასთანავე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უნარები, რომელთა განვითარებაზეც უშუალო ზეგავლენას ახდენს კონფლიქტების მართვის ტექნიკები. კერძოდ კი ეს ეხება ასერტიულობისა და კოოპერაციის უნარების განვითარებას, რომლებიც კონფლიქტების მართვის ორი ძირითადი კომპონენტია (Kilmann, 2010).

კოოპერაციის, შესაბამისად, მოსმენის, სხვისი აზრის პატივისცემის და ზოგადად სწორი კომუნიკაციის უნარების ქონა გადამწყვეტ როლს თამაშობს კონფლიქტების მართვაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არაასერტიულობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაციის მიმართულებით. არაასერტიულ ადამიანს უჭირს თავისი პოზიციის დაფიქსირება და გამოხატვა, მაშინ როდესაც ასერტიული ადამიანი ისე აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას, რომ გამოხატავს თავის ინტერესებს ლაღად და თავისუფლად. ასერტიულობა კი არის ადამიანის სწორედ ის უნარი, რომ დაიცვას თავისი უფლებები თავდაჯერებულად, სხვა ინდივიდის უფლებების დარღვევის გარეშე. ეს კი საბაზისო კომუნიკაციის განვითარებისა და შესაბამისად, კონფლიქტების მართვის უმნიშვნელოვანესი უნარია.

დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ისეთი განათლების მიცემა წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის, რომელიც სწორედ ზემოთხსენებული უნარების განვითარების საუკეთესო საშუალებას მისცემს მათ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგადი თუ უმაღლესი განათლების მიღებისას ნაკლებად ექცევა ყურადღება ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც განპირობებულია სწორედ კომუნიკაციის უნარების განვითარებით. შესაბამისად, აკადემიურ განათლებასთან ერთად გადამწყვეტია არაფორმალური განათლება, ახალგაზრდებში კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის და შესაბამისად, კონსტრუქციული კამათისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, რაც ნებისმიერ სფეროში მოღვაწე თანამედროვე მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, XXI საუკუნეში, ისე როგორც არასდროს, კაცობრიობა დგას იმ თითქოსდა წარმოუდგენელი გამოწვევის წინაშე, როგორცაა საბაზისო კომუნიკაციის უნარების ნაკლებობა. ამ ყველაფრის ხელშესაწყობად ვფიქრობთ, რომ ისეთი სახის სწავლებებია საჭირო, რომელიც თანამედროვე ადამიანისათვის ახლანდელ გარემოში ადაპტაციის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. კერძოდ, კი არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საკმაოდ პოპულარული და ეფექტიანი სასწავლო პროგრამა - ფორმალური დებატების ტექნიკა. ფორმალური დებატების სწავლების პრაქტიკა მრავალი წელია დანერგილია მსოფლიოში და უკვე საქართველოშიც აქტიურად დაინერგა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე დიგიტალიზაციის თანმდევ გამოწვევებთან გამკლავებაში.

აქამდე არსებული კვლევებიც (McDonald, 2000) და ფორმალური დებატების სწავლების ასეთი მაღალი პოპულარულობაც მთელს მსოფლიოში, სადაც დებატები სავალდებულო სასწავლო პროგრამაშიც კი შედის (მაგ. ჰარვარდში, სტენფორდში, პრინსტონში, იეილში), მართლაც ამტკიცებს იმას, რომ ეს კურსი თანამედროვე

გამოწვევების მქონე ახალგაზრდებისათვის მრავლის მომცემია და ბევრ ისეთ უნარს ავითარებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილი და განხილული იქნება საგანგებოდ ჩატარებული კვლევა, რომელიც, სწორედ ერთ-ერთი სწავლების გავლენის შედეგად მიმდინარე ისეთ პიროვნულ ცვლილებას იკვლევს მე-ს ხატში, რომელიც შემდეგ ახალგაზრდის წარმატების საწინდარი ხდება. უფრო კონკრეტულად კი კვლევა ეხება იმას, თუ როგორ ვითარდებიან ახალგაზრდები და ზრდასრულები ფორმალური დებატების სწავლების გზით.

კვლევის მიზანი

დებატების სწავლების ზეგავლენის კვლევის მთავარი მიზანია იმ პიროვნული განვითარების პარამეტრების ცვლილების გაზომვა ახალგაზრდებსა თუ ზრდასრულებზე, რომლებიც მათ უვითარდებთ დებატების სწავლების მეშვეობით. რაოდენობრივი კვლევის ნაწილი ჩატარდა 2021-22 სასწავლო წელს, ის მოიცავდა არამხოლოდ დებატების ფაქტობრივი ცოდნის წარმოჩენას ან მხოლოდ იმ უნარების განვითარებას, რასაც იძლევა დებატების სწავლება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, როგორცაა ორატორობა, არგუმენტირებული მსჯელობა, ოპონენტის პატივისცემა, დროის რეგლამენტი და სხვა, არამედ ისეთი პიროვნულ განვითარებას, რომელიც ჩანს მონაწილეების თვითპრეზენტაციის, თვითმონიტორინგის, თვითკონტროლისა და სხვა მე-ს კონცეფციის თვითობის პარამეტრების პოზიტიური ცვლილებისას დებატების მეშვეობით. ასევე, დებატების პროგრამის პოზიტიური გავლენა მოხდა კონფლიქტების მართვისუნარიანობის გაზომვის, ასერტიულობისა და კოოპერაციის შემდეგი სტრატეგიებით: კონკურენცია, თანამშრომლობა, გარიდება, კომპრომისი და დათმობა.

კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს შემდეგ ძირითად კითხვებს:

1. იწვევს თუ არა რაიმე სახის ცვლილებას თვითობის პარამეტრებში სასწავლო პროგრამის სრულფასოვანი გავლა მოზარდებში? - საკონტროლო და ძირითადი ჯგუფების შედარებითი ანალიზი
2. რა ინტენსივობის ინტერვენციაა საჭირო პიროვნულ დონეზე ცვლილების მოსახდენად? - მეცადინეობებზე დასწრების რაოდენობების კორელაცია კვლევით დაგეგმილ პარამეტრებთან
3. იწვევს თუ არა სასწავლო პროგრამა რაიმე სახის ცვლილებას პიროვნულ დონეზე, კერძოდ, კვლევით დაგეგმილ პარამეტრებში?
4. რა განსხვავებაა სხვადასხვა სკოლის მონაცემებს შორის? - სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი

5. რა ხარისხით ხდება ცვლილება ცოდნაში სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ? - პრე- და პოსტტესტირების შედარებითი ანალიზი
6. როგორი კორელაციაა დებატკლუბის შეხვედრებზე დასწრების რაოდენობის, როგორც პოსტტესტის შედეგებზე, ასევე კვლევის ეფექტიანობაზე? - ძირითადი ჯგუფის ახალგაზრდების დასწრების რაოდენობის შედარებითი ანალიზი პროგრამის დასწავლის(პოსტტესტის) შედეგებთან.

ჰიპოტეზა/ საკითხის დასმა

მოხდება თუ არა იმ მოზარდებში, რომლებიც ფორმალური დებატების სწავლების სრულ კურსს გაივლიან „მე“-ს ხატის იმგვარი ცვლილება, რომელიც გამოიხატება კონფლიქტების მართვისთვის რელევანტური იმ პიროვნული მახასიათებლების ცვლილებაში, როგორცაა თვითშეფასება, თვითპრეზენტაცია, თვითკონტროლი და კონფლიქტების მართვის უნარი.

კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- მე-ს ხატის იმ პარამეტრების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება იცვლებოდის გარკვეული დროის განმავლობაში;
- შესაბამისი საკვლევი ინსტრუმენტების მოძიება/შექმნა;
- კვლევის ჩატარება ექსტრაკურისკულუმის სწავლების დაწყებამდე და დაწყების შემდეგ;
- კვლევის ჩატარება მიზნობრივ და საკონტროლო ჯგუფებზე

პირველ რიგში, მეთოდოლოგიის დეტალურ განხილვამდე მნიშვნელოვანია კვლევის დიზაინზე ყურადღების გამახვილება, რომელიც დაყრდნობილია მე-ს კონცეფციაზე და ფორმალურ დებატებზე, როგორც ინტერვენციის მთავარ ინსტრუმენტზე.

მე-ს კონცეფცია

ფსიქოლოგიურ შრომებში მე-ს კონცეფციის ცნება გამოიყენება თვითობის, თვითშეფასების (ინგლისურად: self, self-esteem, "self-concept") სინონიმებად და ხშირად ისე, რომ სრულად ნათელი არ არის, თუ რა მოიაზრება თვითობის კონსტრუქტისა და თვითობის კონცეფციების ქვეშ. თუმცა სულ მცირე, შესაძლებელია ორი ასპექტის გარჩევა ერთმანეთისაგან. ესენია: პიროვნების თვითაღწერილობითი კოგნიცია (თვითკონცეპტი) და ამ კოგნიციის შეფასება (თვითშეფასება). თვითობა ამ

ორივე ასპექტს მოიცავს. ხშირად თვითობის ცნების არაზუსტი გამოყენება ართულებდა კვლევის შედეგების ერთმანეთთან შედარებას (Asendorpf, 2015). ამას კიდევ ამძაფრებდა მისი მსგავსი მნიშვნელობის ცნებების გამოყენება ისეთ სამეცნიერო დისციპლინებში, როგორცაა სოციოლოგია, პედაგოგია, ფილოსოფია, სადაც „თვითობა“ ხშირად „იდენტობის“ მნიშვნელობით გვხვდება. მრავალგვარია თვითობის მნიშვნელობა როგორც სხვადასხვა ფსიქოლოგიურ დისციპლინებში, მაგალითად სოციალურ და განვითარების ფსიქოლოგიაში, ასევე სხვადასხვა ფსიქოთერაპიულ სკოლებში (ფროიდთან, როჯერსთან, პერლსთან და სხვა). 1970-იანი წლებიდან თვითობის კონსტრუქტი თავიდან სოციალურ ფსიქოლოგიაში, ხოლო მოგვიანებით განვითარების ფსიქოლოგიაში, ემპირიული კვლევებისთვის ძალიან ნაყოფიერი და მასტიმულირებელი აღმოჩნდა.

თვითობის სტრუქტურასა და ფუნქციებთან დაკავშირებით არსებობს რამოდენიმე მოდელი:

1. მე-კონცეფციის გლობალური გაგებიდან დღეს მივდივართ დანაწევრებული კონცეფციების (როგორცაა სხეულებრივი, აკადემიური, სოციალური და სხვა) დეფინიციამდე.
2. სოციალურ-კოგნიციური შემეცნების ფონზე მე-კონცეფცია ინტერპრეტირდება, როგორც დინამიური სტრუქტურა მუდმივ მე-ს სქემასთან, მე-კონცეფციასთან შედარებით, რომელიც წარმოჩინდება იმ რეპრეზენტაციებით, რომელსაც მეხსიერება იძლევა „მე“-სთვის რელევანტური ინფორმაციის დამახსოვრების ხარჯზე.
3. მე-კონცეფციას აქვს სტრუქტურირების ფუნქცია. ეს ნიშნავს, „მე“-სთვის რელევანტური ინფორმაცია გადამუშავდება სხვაგვარად, უფრო სწრაფად, ვიდრე „მე“-სთვის არარელევანტური.
4. მე-კონცეფციის მოტივაციური ფუნქცია, წარმოადგენს თვითობის სტაბილიზატორს. რათა, ერთის მხრივ, მოხდეს პირადი მდგრადობისათვის იმ ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მეორეს მხრივ, თვითშეფასების ამაღლება. ორივე მოტივი ქცევით რეგულაციას ემსახურება (Goffman, 1982)

აღსანიშნავია, რომ მე-ს კონცეფცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტების წამოწყებასა და მართვაში. მე-ს კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობს იმას, რომ ადამიანები არაცნობიერად მუდმივად ელიან სხვებისგან ამა თუ იმ საქციელის მოწონებასა და გამართლებას. შესაბამისად, როდესაც ადამიანები კონფლიქტების დროს თავს დამცირებულად გრძნობენ, მათი თვითშეფასების დონე მცირდება და თვლიან რომ სხვის თვალში მათი ქმედება ნაკლებად მოსაწონი ხდება

(Randolph, 2016). აქედან გამომდინარე, მე-ს კონცეფციის პარამეტრების განხილვისას, მნიშვნელოვანია კონფლიქტის მართვის უნარების გათვალისწინება.

კონფლიქტების მართვა

კონფლიქტური სიტუაციები მიუხედავად მათი მრავალგვარი არეალებისა, ყველგან ერთსა და იმავე მახასიათებლებს ატარებს. ის არის ერთგვარი აქტივობა, რომელიც გამოხატავს დაინტერესებასა და არაინდიფერენტულობას. სწორად გაგებული და გამოვლენილი კონფლიქტი ასტიმულირებს და აახლებს ადამიანურ ურთიერთობებს, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა კი წარმოუდგენელია კონფლიქტების გარეშე.

როგორც წესი, ნებისმიერი ტიპის კონფლიქტს საფუძვლად უდევს საკუთარ კეთილდღეობაზე ისეთი ზრუნვა, რომელიც ნებსით თუ უნებლიედ სხვის ან სხვების დაზიანებას იწვევს. ამ იდეას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამტკიცებს პატიმრის დილემის მაგალითი. ასეთ დილემებში საკუთარი ინტერესების ნებისმიერ ფასად დაკმაყოფილების სურვილს შეუძლია ყველასთვის დამღუპველი შედეგები გამოიღოს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევისთვის ისეთი კონცეფციის შემოღება, რომელიც გაზომავს კონფლიქტების მართვისუნარიანობას. თომას კილმანის თანახმად, არსებობს კონფლიქტის დარეგულირების ხუთი მიმართულება. ზოგადად კი, კონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის ქცევა შეიძლება აღიწეროს ორ ძირითად განზომილებაში: ასერტიულობასა და კოოპერაციაში. პირველი ეხება იმას, თუ რამდენად ცდილობს ინდივიდი საკუთარი საზრუნავის დაკმაყოფილებას, მეორე კი ეხება იმას, თუ რამდენად ცდილობს ინდივიდი სხვისი საზრუნავის დაკმაყოფილებას. ხოლო ნახსენები კონფლიქტის დარეგულირების ხუთი რეჟიმი კი ზუსტად ამ ორ განზომილების ფარგლებშია. ესენია: კონკურენცია, თანამშრომლობა, გარიდება, კომპრომისი და დათმობა (Kilman, 2010).

ფორმალური დებატები, როგორც ინტერვენციის ინსტრუმენტი

ფორმალურ დებატებს ჩვენ აქ განვიხილავთ, როგორც იმ სასწავლო ინსტრუმენტს, რომლის დანრეგვასა და განვითარებას ეძღვნება ჩვენი კვლევა. კამათი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ეს არის სწორედ ის პროცესი, რომელიც იწვევს შემდგომში ფორმალურ დებატებში ჩართული ადამიანის მუდმივ სტიმულაციას (Brandstätter & Jürgen, 2009).

ყოველდღიურ ცხოვრებაში კამათს არაფორმალური ხასიათი აქვს; მას არ აქვს სტრუქტურა და საგანგებო წესები. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს და არაფრის მომცემიც იყოს.

ფორმალური კამათი, ანუ დებატები წესებით, სათავეს ანგლოსაქსური ქვეყნებიდან იღებს. ხოლო ის შედეგები, რასაც ახალგაზრდები ამ ინსტრუმენტის დაუფლების შემდეგ ღებულობენ, არამხოლოდ მათ პოზიტიურ პიროვნულ ცვლილებებზე ისახება, არამედ მომავლი პროფესიული წარამტების განმსაზღვრელიც არის ხოლმე, რასაც ადასტურებს ის გამოკითხვები, რომელსაც ევროპის დებატების ორგანიზაციები გვთავაზობენ (Schmoll, 2013).

კვლევის საგანი - კარლ პოპერის დებატები, როგორც საგანმანათლებლო თამაში, ახალგაზრდებში კრიტიკულ აზროვნებას, ორატორობას, ორგანიზებულობას, ოპონენტთა პატივისცემას, კვლევის, მოსმენის, ჩაწერის, მასალაზე მუშაობის, არგუმენტაციის, კონფლიქტების მართვის და მრავალ სხვა უნარ-ჩვევას ავითარებს, რომელთა სრულყოფაც ამ ასაკში ძალზედ მნიშვნელოვანია განვითარებისა და მათი პიროვნებად ფორმირების პროცესში.

ფორმალური დებატების სწავლება ეყრდნობა გამოცდილებითი სწავლების ტექნიკას. მთლიანი მომზადება კი მიმართულია დებატებში მონაწილეობის მიღებაზე. ყველა მონაწილე მუდმივად მოტივირებულია, რომ რაც შეიძლება ხშირად ითამაშოს და შესაბამისად მისდა უნებურად ის მაქსიმალურად ინვითარებს ყველა ზემოთხსენებულ უნარს.

პირველი ეტაპი ფორმალურ კამათთან ზიარებისას იწვევს გარკვეული სახის ფსიქო-სოციალურ ცვლილებებს. როცა სწავლების მონაწილე ხედავს თავის წარმატებას, სოციალურ აღიარებასა და დაფასებას, მისი მოტივაცია მატულობს და ის ცდილობს რაც შეიძლება უკეთ დაეუფლოს იმ ტექნიკას, რომლის საშუალებითაც მას შეეძლება საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დაფიქსირება, კონსტრუქციული დაპირისპირება.

თუმცა ნაკლებად მოიძებნება კვლევები (განსაკუთრებით საქართველოში), რომლებშიც გამოჩნდებოდა, თუ როგორ იცვლება პიროვნება, ისე, რომ ის ხდება უკვე არა მარტო კარგი თეორეტიკოსი და კონსტრუქციულად მოსაუბრე ორატორი, არამედ მისი ისეთი პიროვნული მახასიათებლები იცვლება, რომლებიც ამზადებენ ახალგაზრდებს თანამედროვე გამოწვევებისათვის. შესაბამისად, თუ მოხდება ისეთი პიროვნული პარამეტრების ცვლილება, რომელთა გაუმჯობესებაც სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობას გამოიწვევს, ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს გახდნენ მეტად წარმატებულებები. მე-ს ხატის თუნდაც ერთი ელემენტის პოზიტიური ცვლილება კი პიროვნული ზრდისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი და შემდგომი განვითარების საწინდარია. სიტუაციური ანალიზიც და დაგროვებული ინფორმაციაც ამ კურიკულუმგავლილი სხვადასხვა ქვეყნის მოდელბატებისაგან გვაჩვენებს, რომ მათ მიერ საკუთარი მიღწევების, თვითშეფასების ამაღლება განსაკუთრებულ (უნიკალური, მაღალი შესაძლებელობების მქონე)

ჯგუფთან მიკუთვნიებულობის, თუ სხვადასხვა მიღწევების მოპოვების გამო, ცვლის „მე“-ს წარმოდგენას და პიროვნულ ზრდას იწვევს (Schmoll, 2013). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პიროვნება უფრო წარმატებულად ხდება. თუმცა კვლევის დასაწყისში ეს მხოლოდ ის ვარაუდები იყო, რაც გარკვეულწილად დაამტკიცა შემდეგ ჩვენმა კვლევამ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს როგორც რაოდენობრივ (ექსპერიმენტულ), ასევე თვისებრივ ნაწილებს. ამ ეტაპზე მოხდება კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ანალიზი.

კვლევების ეტაპები ძირითადად ეხება დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კორელაციას ერთმანეთთან და დამოკიდებულ ცვლადთან.

კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ინდიკატორებია:

- სნაიდერის პიროვნების საკვლევი ტესტი;
- როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი;
- თვითკონტორილის საზომი კითხვარი, რომელიც ეფუძნება რ. კეტელის 16 ფაქტორიან, კალიფორნიის პიროვნების, ჯ. როტერის კონტროლის ლოკუსის, სნაიდერის თვითფლობის კითხვარებს;
- თვითპერზენტაციის კითხვარი, რომელიც შექმნილია Lennox D. & Wolfe R. N. -ის საფუძველზე და მოხდა მისი შეფასება ქართველი ექსპერტების მიერ;
- მონაწილეების დებატკლუბების მეცადინეობებზე დასწრებების რაოდენობა;
- დებატების ტექნიკის ცოდნის პრე- და პოსტტესტი;
- კონფლიქტების მართვა თომას კილმანის კითხვარის მიხედვით.

გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ზემოთხსენებული სხვადასხვა ინდიკატორის კორელაცია, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის კვლევის შედეგებს. მნიშვნელოვანია ისეთი კორელაციის განსაზღვრა დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის, როგორცაა, მაგალითად, მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრებების რაოდენობა და „მე“-ს ხატის ცვლილება ან კონფლიქტების მართვისუნარიანობა. ეს კონკრეტული კორელაცია ახდენს დიფერენცირებას დებატების სწავლებაში ნაკლებად და მეტად ჩართულ მოსწავლეებს შორის.

კვლევის რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს კითხვარის შევსებას და დაყოფილია ორ ეტაპად. კვლევის რაოდენობრივი ნაწილის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირველ რიგში მოხდეს სამიზნე ჯგუფისთვის კვლევის ჩატარება დებატების სასწავლო პროგრამის გავლამდე და შემდგომ, მეორე ეტაპზე, სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ, რათა წარმოჩენილ იქნას ის ცვლილებები, რასაც დებატების ტექნიკა იძლევა

პიროვნული განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ კვლევის პირველ ეტაპზე სამიზნე ჯგუფის არც ერთ წევრს არ ჰქონია შეხება და გამოცდილება არაფორმალური განათლების ამ მიმართულებასთან.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები ორიენტირებულია სამიზნე ჯგუფის შემდეგი პარამეტრების გაზომვაზე: კონსტრუქციული მსჯელობა, თვითპრეზენტაცია, თვითშეფასება, თვითკონტროლი და კონფლიქტების მართვა.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს შემდეგი რეგიონების სკოლების (კერძო და საჯარო და სოფლებისა და ქალაქების) მოსწავლეები: თბილისი, კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა, სამეგრელო, სვანეთი და ზემო აჭარა.

სამიზნე ჯგუფის წევრები არიან იმ სკოლების მოსწავლეები, სადაც წარმატებულად დაინერგა დებატების სწავლება და აქტიურად ფუნქციონირებენ დებატების კლუბები. გარდა ამისა, კვლევაში მონაწილეობას იღებენ როგორც ექსპერიმენტული (ძირითადი), ისე საკონტროლო ჯგუფის წევრები.

კვლევაში ჩართული ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები არიან ზემოთხსენებული რეგიონების სკოლებში არსებული დებატკლუბების აქტიური წევრები. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ დებატების პროგრამის სრულფასოვნად შესწავლას, ვინაიდან ადრეულ ასაკში უფრო მარტივად და ეფექტიანად ხდება ინტერვენცია და იმ სხვადასხვა უნარის განვითარება, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანია. მეორეს მხრივ, დებატების ტექნიკის სწავლების პროგრამის გავლენის უკეთ დასაზოგად ასევე მნიშვნელოვანია კვლევაში საკონტროლო ჯგუფის ჩართვა. ამ ქვეჯგუფის წევრების არჩევასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. პირველ რიგში, საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეები არიან მსგავსი მახასიათებლების მატარებელი, როგორც ექსპერიმენტული ჯგუფის წევრები. გარდა ამისა, საკონტროლო ჯგუფის წევრები ისე შეირჩნენ, რომ არ ჰქონოდათ გავლილი დებატების პროგრამა და არ ჰქონოდათ არანაირი გამოცდილება ფორმალური დებატების სწავლებასთან. ვინაიდან საკონტროლო ჯგუფის წევრებს არ გაუვლიათ დებატების პროგრამა და არიან შერჩეულნი ექსპერიმენტული ჯგუფის მსგავსი მახასიათებლებით, კიდევ უფრო კარგად შეგვეძლება გავიგოთ ინტერვენციის ზეგავლენის დონე დებატების სწავლების კუთხით და თუ რამხელა ეფექტი გვაქვს ჩვენ ექსპერიმენტულ ჯგუფზე. საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეები არიან სამიზნე აუდიტორიის ზემოთხსენებული რეგიონების სკოლების მოსწავლეები, სადაც დებატების კლუბები არსებობს; ე.ი. ისინი არიან იმავე სკოლის მოსწავლეები, რაც ექსპერიმენტული ჯგუფის წევრები. საკონტროლო ჯგუფის წევრი მოსწავლეები არიან ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების მსგავსი შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით: ასაკი და კლასი. შესაბამისად, ამ ქვეჯგუფის წევრები

უმეტესწილად არიან ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების კლასელები ან პარალელურ კლასელები. ასაკის მსგავსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდების შემთხვევაში, ვინაიდან დებატების პროგრამა განსაკუთრებულად მოქმედებს სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე იწყებენ დებატების ტექნიკის დაუფლებას. შესაბამისად, ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ მსგავსი შესაძლებლობები, თუმცა ძირითად ჯგუფს დებატების ტექნიკის სწავლების კუთხით აქვს მეტი შესაძლებლობა გაივითაროს ზემოთხსენებული უნარები, ვიდრე საკონტროლოს.

კვლევის სამიზნე აუდიტორიის როგორც ექსპერიმენტული, ასევე საკონტროლო ჯგუფის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას კვლევის ორივე ეტაპზე. კვლევის პირველი ეტაპი ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში, სანამ სამიზნე აუდიტორიის ექსპერიმენტული ჯგუფი დაიწყებს დებატების სასწავლო პროგრამის შესწავლას. ხოლო მეორე ეტაპი ტარდება სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც კვლევის ძირითად ჯგუფს უკვე სრულყოფილად აქვს გავლილი დებატების სასწავლო პროგრამის ერთწლიანი კურსი. აღსანიშნავია, რომ საკონტროლო ჯგუფის წევრები, ექსპერიმენტული ჯგუფის პარალელურად იღებენ მონაწილეობას კვლევის რაოდენობრივ ნაწილში.

ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის პარალელურად ხდებოდა მოსწავლეების დებატკლუბების შეხვედრებზე დასწრებების რაოდენობისა და პრე- და პოსტტესტების ანალიზიც (რომლებიც იწერებოდა მოსწავლეების მიერ დებატების პროგრამის გავლამდე და მის შემდგომ), რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კვლევის შედეგების ანალიზში.

მონაცემთა ანალიზი

2021-22 სასწავლო წელს ჩატარებულ კვლევაში 1587-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 158 იყო მასწავლებელი და 1429 მოსწავლე, თუმცა მათგან 793-მა ბოლომდე გაიარა მთელი პროცესი. 793 რესპოდენტიდან:

- 680 მოსწავლე: ძირითადი ჯგუფი - 562 (82,6%); საკონტროლო ჯგუფი - 118 (17,4%); ძირითადი ჯგუფის წევრების 74.2% იყვნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და 25.8% - მამრობითი; ხოლო საკონტროლო ჯგუფიდან 65.3% იყო მდედრობითი, ხოლო 34.7% მამრობითი
- 113 პედაგოგი: ძირითადი ჯგუფი - 63 (55,8%); საკონტროლო ჯგუფი - 50 (44,2%); ძირითადი ჯგუფის წევრების 98.4% იყვნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და 1.6% - მამრობითი; ხოლო საკონტროლო ჯგუფიდან 100% იყო მდედრობითი


კვლევაში ჩართული იყვნენ 12-18 წლის მოსწავლეები და 24+ წლის მასწავლებლები. მონაცემები დამუშავდა SPSS-ის პროგრამაში. ანალიზი ძირითადად ეფუძნებოდა საშუალოთა შორის განსხვავებების სტატისტიკური სანდოობის შეფასებას.

კვლევის რაოდენობრივი შედეგები

კვლევაში მონაწილე მოსწავლეების კმაყოფილება პროგრამაში ჩართულობით

რაოდენობრივი კვლევის პირველი ნაწილი მოიცავდა კითხვებს, რომელთა მიზანი იყო რესპოდენტებისგან დებატების პროგრამის პირდაპირი ზეგავლენის გაგება (იხ. გრაფიკი 1). შედეგებიდან გამომდინარე ჩანს, რომ დებატების პროგრამამ ყველაზე დიდი გავლენა იქონია მოსწავლეებში კონსტრუქციული მსჯელობის განვითარებაზე, რასაც რესპოდენტთა 97.7% ეთანხმება. შემდგომ, იკვეთება, რომ როგორც თვითშეფასებაზე, ასევე კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებაზეც დებატების პროგრამამ საკმაოდ პოზიტიურად იმოქმედა, ვინაიდან 92-94% მოსწავლეებისა მიიჩნევს ამგვარად. შედარებით ნაკლებად იმოქმედა დებატების პროგრამამ მოსწავლეებში სიტყვით გამოსვლის უნარებზე და საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართულობაზე, თუმცა დიდი უმრავლესობა 85-90% მოსწავლეების მაინც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ დებატებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათთვის აღნიშნული უნარები. საბოლოო ჯამში, გამოიკვეთა, რომ ხუთივე მიმართულებაზე დებატების პროგრამამ პოზიტიური გავლენა იქონია მოსწავლეების დიდი უმრავლესობისთვის.

გრაფიკი 1



გარდა ამისა, დებატების სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებულია - თითოეულ მათგანს შორის კორელაციური კავშირი საშუალო სიძლიერისაა ($p < 0.01$) (იხ. გრაფიკი 2).

მაგალითად, მოსწავლეები, რომლებიც თვლიან, რომ დებატების სწავლის შემდეგ აუმაღლდათ თვითშეფასება, ასევე თვლიან, რომ უფრო კონსტრუქციულად მსჯელობენ ($r = 0.46$), უკეთ ართმევენ თავს კონფლიქტურ სიტუაციებს ($r = 0.53$), უფრო აქტიურად არიან ჩართულნი გაკვეთილებზე ($r = 0.35$) და უფრო თავისუფლად აკეთებენ პრეზენტაციებს ($r = 0.33$).


გრაფიკი 2

კორელაციური კავშირები	დებატების სწავლის შემდეგ			
	უფრო აზრიანად / კონსტრუქციულად ვმსჯელობ	უკეთ ვართმევ თავს კონფლიქტურ სიტუაციებს	უფრო აქტიურად ვარ ჩართული გაკვეთილებზე	უფრო თავისუფლად გამოვდივარ სიტყვით/ვაკეთებ პრეზენტაციებს გაკვეთილებზე
დებატების სწავლის შემდეგ ...				
ამიმაღლა თვითშეფასება	.46**	.53**	.35**	.33**
უფრო აზრიანად/კონსტრუქციულად ვმსჯელობ		.43**	.33**	.53**
უკეთ ვართმევ თავს კონფლიქტურ სიტუაციებს			.36**	.47**
უფრო აქტიურად ვარ ჩართული გაკვეთილებზე				.45**
უფრო თავისუფლად გამოვდივარ სიტყვით/ვაკეთებ პრეზენტაციებს გაკვეთილებზე				

დებატების ტექნიკის ცოდნა მოსწავლეებში

კვლევასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტების დებატების ტექნიკის ცოდნის შეფასება, ვინაიდან, აუცილებელი იყო სწორედ დებატების ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებული მონაწილეებისგან გაგვეგო დებატების პროგრამის ეფექტურობა. დებატების ტექნიკის ცოდნის ტესტი აფასებს პროგრამაში გავლილი საკითხების ცოდნას, შესაბამისად არ არის გასაკვირი შედეგების ასეთი მკვეთრი გაუმჯობესება (დებატების ტექნიკის კითხვარის მაქსიმალური ქულა იყო 33, იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3



კონსტრუქციული მსჯელობა


კონსტრუქციული მსჯელობის ინსტრუმენტი აგებულია სასწავლო პროგრამის მიხედვით. კითხვარი შედგება არჩევითპასუხიანი 24 საკითხისგან. კვლევაში მონაწილემ თითოეული საკითხისთვის ჩამოთვლილი პასუხებიდან უნდა აირჩიოს ერთი. თითოეული სწორად არჩეული პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი კი - 0 ქულით. ინსტრუმენტის მაქსიმალური ქულაა 24, მინიმალური კი - 0. კითხვარის მაქსიმალური ქულა არის 24.

კვლევის ამ ნაწილის შედეგებიდან გამომდინარე ჩანს, რომ დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ძირითადი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარში, ვიდრე პროგრამის გავლამდე (იხ. გრაფიკი 4).

საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეებმაც საშუალოდ უკეთესი შედეგი აჩვენეს კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარის მეორედ შევსების დროს.

ძირითადი ჯგუფის მოსწავლეებს უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარში ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეებს დებატების პროგრამის გავლამდე ($p < 0.001$) და გავლის შემდეგაც ($p < 0.001$).

გრაფიკი 4



გარდა ამისა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლის მოსწავლეებმა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ საშუალოდ უფრო მაღალი ქულა მიიღეს კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარში, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

დებატების პროგრამის გავლამდე სოფლის სკოლის მოსწავლეებმა უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აჩვენეს, ვიდრე ქალაქის მოსწავლეებმა ($p < 0.05$). დებატების პროგრამის გავლის შემდეგ მათ შედეგებს შორის სტატისტიკურად არსებითი სხვაობა აღარ ვლინდება ($p > 0.05$).

ძირითადი ჯგუფის ქალაქის სკოლის მოსწავლეებს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ქალაქის სკოლის მოსწავლეებს დებატების დაწყებამდე ($p < 0.05$) და პროგრამის გავლის შემდეგაც ($p < 0.001$).

ძირითადი ჯგუფის სოფლის სკოლის მოსწავლეებს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სოფლის სკოლის მოსწავლეებს დებატების დაწყებამდე ($p < 0.001$) და პროგრამის გავლის შემდეგაც ($p < 0.01$).

როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებმა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ საშუალოდ უფრო მაღალი ქულა მიიღეს კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარში, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

კონსტრუქციული მსჯელობის კითხვარში საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი არ განსხვავდება ერთმანეთისგან არც ერთ ეტაპზე ($p > 0.05$).

ძირითადი ჯგუფის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე საკონტროლო

ჯგუფის საჯარო სკოლის მოსწავლეებს დებატების დაწყებამდე ($p < 0.01$) და პროგრამის გავლის შემდეგაც ($p < 0.001$).

თვითპრეზენტაცია

თვითპრეზენტაციის კითხვარი, შექმნილია Lennox D. & Wolfe R. N.-ის საფუძველზე და მოხდა მისი შეფასება ქართველი ექსპერტების მიერ.

კითხვარი შედგება 25 დებულებისგან. კვლევაში მონაწილემ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად ეთანხმება ან არ ეთანხმება თითოეულ მათგანს შემდეგი სკალის გამოყენებით: აბსოლუტურად ვეთანხმები - ვეთანხმები - არ ვეთანხმები - აბსოლუტურად არ ვეთანხმები. დებულების მაგალითი: „საუბრის დაწყებისთანავე მსმენელის ყურადღებას ადვილად ვიქცევ“.


თითოეული დებულების შეფასების მაქსიმალური ქულაა 4 (აბსოლუტურად ვეთანხმები), მინიმალური კი - 1 (აბსოლუტურად არ ვეთანხმები), შესაბამისად, კითხვარის მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური კი - 25¹. კითხვარში მაღალი ქულა ნიშნავს თვითპრეზენტაციის მაღალ დონეს.

თვითპრეზენტაციის კითხვარის შემთხვევაშიც ძირითადი ჯგუფის მოსწავლეებმა გააუმჯობესეს შედეგი დებატების პროგრამის გავლის შემდეგ (იხ. გრაფიკი 5). ასევე აღსანიშნავია, რომ ძირითადი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია დებატების პროგრამის გავლის შემდეგ, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლის მატება სტატისტიკურად არსებითი არ არის. დებატების გავლამდე ძირითადი და საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ($p > 0.05$). დებატების პროგრამის გავლის შემდეგ კი ამ ორი ჯგუფის მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითი გახდა ($p < 0.01$).

¹ ზოგიერთი დებულება უარყოფითი მიმართულებითაა ფორმულირებული. ასეთი დებულებები მონაცემთა ანალიზისას რევერსირდნენ.

გრაფიკი 5



გარდა ამისა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლის მოსწავლეებმა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ საშუალოდ უფრო მაღალი ქულა მიიღეს თვითპრეზენტაციის კითხვარში, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

ქალაქის სკოლის მოსწავლეებმა უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აჩვენეს როგორც დებატების პროგრამის გავლამდე ($p < 0.001$), ასევე გავლის შემდეგაც ($p < 0.001$) ვიდრე სოფლის სკოლის მოსწავლეებმა.

დებატების პროგრამის გავლამდე ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არსებითად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ($p > 0.05$), თუმცა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ამ ორი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლებს შორის არსებითი სხვაობაა ($p < 0.001$).

თვითპრეზენტაციის კითხვარში საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები არ განსხვავდება სტატისტიკურად ერთმანეთისგან არც დებატების პროგრამის გავლის წინ და არც გავლის შემდეგ ($p > 0.05$).

თვითკონტროლი

თვითკონტროლის საზომი კითხვარი, ეფუძნება რ. კეტელის 16 ფაქტორიან, კალიფორნიის პიროვნების, ჯ. როტერის კონტროლის ლოკუსის, სნაიდერის თვითფლობის კითხვარებს. კითხვარი შედგება 13 დებულებისგან. კვლევაში მონაწილემ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება თითოეული მათგანი მის მოსაზრებებს საკუთარი თავის შესახებ შემდეგი სკალის გამოყენებით:


აბსოლუტურად შეესაბამება - შეესაბამება - არ შეესაბამება - აბსოლუტურად არ შეესაბამება

დებულების მაგალითი: „მე ადვილად ვუწევ წინააღმდეგობას ცდუნებებს“. თითოეული დებულების შეფასების მაქსიმალური ქულაა 4 (აბსოლუტურად შეესაბამება), მინიმალური კი - 1 (აბსოლუტურად არ შეესაბამება), შესაბამისად, კითხვარის მაქსიმალური ქულაა 52, მინიმალური კი - 13². კითხვარში მაღალი ქულა ნიშნავს თვითკონტროლის მაღალ დონეს. ძირითადი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია დებატების პროგრამის გავლის შემდეგ, ვიდრე პროგრამის გავლამდე (იხ. გრაფიკი 6).

საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლის მატება სტატისტიკურად არსებითი არ არის. დებატების გავლამდე ძირითადი და საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან ($p>0.05$). დებატების პროგრამის გავლის შემდეგ კი თვითკონტროლის კითხვარში ამ ორი ჯგუფის მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითი გახდა ($p<0.05$).

გარდა ამისა, დებატების პროგრამის გავლამდე ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არსებითად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ($p>0.05$), თუმცა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ამ ორი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლებს შორის არსებითი სხვაობაა ($p<0.01$). საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან დებატების პროგრამის გავლამდე ($p<0.001$) და გავლის შემდეგაც ($p<0.05$).

გრაფიკი 6



² ზოგიერთი დებულება უარყოფითი მიმართულებითაა ფორმულირებული. ასეთი დებულებები მონაცემთა ანალიზისას რევერსირდნენ.

თომას კილმანის კითხვარი

თომას კილმანის ინსტრუმენტი კონფლიქტურ სიტუაციაში ინდივიდის ქცევის შესაფასებლად მოიცავს ქცევის ტიპების აღმწერი დებულებების 30 წყვილს. კვლევაში მონაწილემ თითოეული წყვილიდან უნდა აარჩიოს ერთი, რომელიც უფრო მეტად ახასიათებს მას. თითოეული წყვილის ერთი დებულება შეესაბამება 5 სკალიდან ერთს, მეორე კი - მეორეს. ეს სკალებია: შეჯიბრება, შეგუება, თავიდან აცილება, თანამშრომლობა, კომპრომისი. ამ სკალებს საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ორი განზომილება: ასერტიულობა და კოოპერატიულობა. სქემატურად ამ ორი განზომილებისა და 5 სკალის კავშირი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. გრაფიკი 7), (Kilmann, 2010):

შეჯიბრება - ასერტიული და არაკოოპერატიული - კონფლიქტურ სიტუაციაში საკუთარი ინტერესების უფრო მაღლა დაყენება, ვიდრე სხვისი; საკუთარი პოზიციის გატარებისთვის ბრძოლა;


შეგუება - არასერტიული და კოოპერატიული - კონფლიქტურ სიტუაციაში სხვისი სიამოვნების გამო საკუთარ სურვილებზე უარის თქმა;

თავიდან აცილება - არც ასერტიული და არც კოოპერატიული - კონფლიქტურ სიტუაციაში არც საკუთარი ინტერესების გატარება და არც სხვისი. ეს არის კონფლიქტური სიტუაციიდან გაქცევა;

თანამშრომლობა - ასერტიული და კოოპერატიული - კონფლიქტის დროს ისეთი გადაწყვეტის ძიების მცდელობა, რომლითაც ყველა მხარე კმაყოფილი იქნება;

კომპრომისი - საშუალოდ ასერტიული და საშუალოდ კოოპერატიული - კონფლიქტის დროს ისეთი გადაწყვეტის ძიების მცდელობა, რომელიც ნაწილობრივ დააკმაყოფილებს ყველა მხარეს.

გრაფიკი 7



შეჯიბრების სკალის დებულების მაგალითი: „მე დაბეჯითებით ვცდილობ საკუთარი პოზიციის შენარჩუნებას“. სკალაზე რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მომართულია ადამიანი, რომ კონფლიქტის გადაწყვეტისას თავისი პოზიცია გაატაროს და არ გაითვალისწინოს სხვისი სურვილი. შეგუების სკალის დებულების მაგალითი: „მე ალბათ შევეცდები გავითვალისწინო სხვისი გრძნობები და შევინარჩუნო ჩვენი ურთიერთობა“.

სკალაზე რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მომართულია ადამიანი, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში დათმოს თავისი პოზიცია სხვის სასარგებლოდ.


თავიდან აცილების სკალის დებულების მაგალითი: „ვცდილობ საკუთარ თავს ავარიდო ყოველგვარი უსიამოვნება“.

სკალაზე რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მომართულია ადამიანი, რომ კონფლიქტურ სიტუაციას გაექცეს ან გადადოს მისი მოგვარება უკეთესი დროისთვის. თანამშრომლობის სკალის დებულების მაგალითი: „ვცდილობ გადავჭრა პრობლემა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ჩემი, ასევე საწინააღმდეგო მხარის ინტერესები“.

სკალაზე რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მომართულია ადამიანი, რომ კონფლიქტის გადაწყვეტისას ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს. კომპრომისის სკალის დებულების მაგალითი: ვცდილობ მოვძებნო ისეთი პოზიცია, რომელიც ჩემი და სხვა პიროვნების პოზიციის შუალედური იქნება. სკალაზე რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მომართულია ადამიანი კონფლიქტის მოგვარებისას კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებაში. თითოეული სკალის მაქსიმალური ქულაა 12, მინიმალური კი - 0. დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ძირითად ჯგუფში თომას კილმანის კითხვარის 5 სკალიდან სტატისტიკურად არსებითად შეიცვალა მხოლოდ შეგუების სკალის საშუალო მაჩვენებელი (იხ. გრაფიკი 8).

ხელმეორედ შევსებისას საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად არსებითად არ შეცვლილა.

გრაფიკი 8



დებატების პროგრამის გავლის შემდეგ თომას კილმანის კითხვარის 5 სკალიდან მხოლოდ 3-ზე შეიცვალა საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად. ესენია: თანამშრომლობა, კომპრომისი და თავიდან აცილება. უფრო ნათლად რომ გამოვყოთ შედეგები:

1. დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია თანამშრომლობის სკალაზე, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

ამ სკალაზე სოფლის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არსებითად არ შეცვლილა.

თანამშრომლობის სკალაზე ქალაქის და სოფლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან არც დებატების პროგრამის გავლამდე და არც მის მერე (p>0.05).

2. დებატების პროგრამის გავლის შემდეგ კომპრომისის სკალაზე ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი არ შეცვლილა.

დებატების პროგრამის გავლის შემდეგ სოფლის სკოლის მოსწავლეებმა არსებითად უფრო მაღალი მაჩვენებელი აჩვენეს, ვიდრე პროგრამის გავლამდე.

დებატების პროგრამის გავლამდე ქალაქის სკოლის მოსწავლეებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე სოფლის სკოლის მოსწავლეებს (p<0.01). თუმცა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ მათი მაჩვენებლები სტატისტიკურად აღარ განსხვავდება ერთმანეთისგან.

3. თავიდან აცილების სკალაზე ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი დებატების პროგრამის გავლის შემდეგ სტატისტიკურად არსებითად არ შეცვლილა.

სოფლის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად არსებითად გაიზარდა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ.

დებატების პროგრამის გავლამდე სოფლისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეების საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა არ გამოვლენილა, თუმცა, დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ქალაქის და სოფლის მოსწავლეების მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითი გახდა $p < 0.001$ დონეზე.

კვლევის რაოდენობრივი შედეგების შეჯამება და დასკვნა

კვლევის რაოდენობრივ ნაწილში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე შედეგი თვითპრეზენტაციისა და კონსტრუქციული მსჯელობის კუთხით ქალაქისა და სოფლის სკოლის მოსწავლეებში. ქალაქის სკოლის მოსწავლეებმა თავიდანვე აჩვენეს სოფლის სკოლის მოსწავლეებზე შედარებით მაღალი თვითპრეზენტაციის დონე, დებატების პროგრამის გავლამდე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ქალაქის მოსწავლეები უფრო მეტად გრძნობენ ამ უნარის დეფიციტს, შესაბამისად, ცდილობენ ამის კომპენსაციას. გარდა ამისა, ქალაქის სკოლის მოსწავლეების თვითპრეზენტაციის მაჩვენებლის ზრდა უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლებში, რადგან ისინი უფრო დაინტერესებულნი იყვნენ ამ უნარის განვითარებით თვითდამკვიდრებისთვის. სოფლებში უფრო ვიწრო სოციალური წრეებია, ამიტომ თავის დამკვიდრება და შესაბამისად, წარმოჩენაც უფრო მარტივია. საბოლოო ჯამში, ცვლილება სოფლის და ქალაქის სკოლის მოსწავლეებისთვისაც სტატისტიკურად არსებითია. ასევე, ქალაქის სკოლის მოსწავლეებში კონსტრუქციული მაჩვენებლის ზრდა დებატების პროგრამის გავლის შემდეგ სტატისტიკურად არსებითია, რადგან სკოლები უფრო მაღალ სოციალურ მოთხოვნას უწესებენ ახალგაზრდებს ამ მიმართულებით ქალაქებში, სადაც მოსწავლეების რაოდენობა ბევრად დიდია, სოფლების სკოლებთან შედარებით. სოფლის სკოლის მოსწავლეებმაც საშუალოდ უკეთესი შედეგი მიიღეს პროგრამის გავლის შემდეგ, თუმცა ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითი არ არის, ვინაიდან მოსწავლეებს სოფლებში აქვთ უფრო მეტად ბუნებრივი და თავისუფალი ურთიერთობები, ქალაქის მოსწავლეებთან შედარებით, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქალაქში მოსწავლეები უფრო მეტად არიან მიჯაჭვულები გაჯეტებზე და აქვთ მიდრეკილება ასოციალურობისკენ.

გარდა ამისა, საინტერესოა თომას კილმანის კითხვარის შედეგების ანალიზი. როგორც ირკვევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ძირითად ჯგუფში თომას კილმანის კითხვარის 5 სკალიდან სტატისტიკურად არსებითად შეიცვალა მხოლოდ შეგუების სკალის საშუალო მაჩვენებელი. შეგუება შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სტატუს კვოსთან ადაპტაცია. ფორმალურ დებატებში კი სტატუს კვო ერთ-ერთ მნიშვნელოვან

კომპონენტს წარმოადგენს და ნებისმიერი საკითხის განხილვისას და შესაბამისად, არგუმენტაციისას, არსებულ რეალობაში დარჩენა არის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა. მოდებატეები სტატუს კვოს მეტი სიფრთხილით უდგებიან და მათში სწორედ ისეთი მოთმინების უნარი ვითარდება, რომელიც მოიაზრებს არსებული რეალობის შენარჩუნებას/რეალობასთან შეგუებას. შეგუების საკითხი შეგვიძლია ასევე მოსმენის უნარის განვითარებასაც დავუკავშიროთ, რაც დებატების პროგრამაში ჩართულ ადამიანებს საკმაოდ უვითარდებათ. კონფლიქტის დროს „მოწინააღმდეგის“ მოსაზრებების კარგად მოსმენამ გარკვეულწილად შეიძლება ადამიანს უბიძგოს სიტუაციასთან შეგუებაზე და არა კონფლიქტის გაღვივებაზე. სიტუაციასთან შეგუება კი კოოპერაციის ერთგვარი გზა არის, რომლის დროსაც ინდივიდები უარყოფენ საკუთარ სურვილებს და მეტად ორიენტირებულნი ხდებიან სხვის სურვილებზე. შესაბამისად, შეგუება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი ალტრუიზმის ფორმა (Kilmann, 2010).

ასევე საინტერესოდ გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ დებატების პროგრამის გავლის შემდეგ ქალაქის სკოლის მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია თანამშრომლობის სკალაზე, ვიდრე პროგრამის გავლამდე, სოფლის სკოლის მოსწავლეებთან შედარებით. ეს კი შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ, ვინაიდან, სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის შედარებით სიმცირის გამო, უფრო ნაკლებად დგას გაუცხოების პრობლემა, ახალგაზრდებისთვის თანამშრომლობის უნარის განვითარება დიდ მოთხოვნას არ წარმოადგენს, რადგან ის სავარაუდოდ ისედაც უფრო მეტად იქნება მოსწავლეებს შორის სოფლებში, ვიდრე ქალაქებში. ხოლო ქალაქებში გაჯეტების მოხმარების სიხშირემ და თანამედროვე ტექნოლოგიების შედეგად ახალგაზრდებში გაუცხოების დონის გაზრდამ შესაძლოა უფრო მეტად საჭირო გახადა თანამშრომლობის უნარის განვითარება. გაჯეტებზე დამოკიდებულება და ასოციალურობა პირდაპირ მოქმედებს კონფლიქტების გაზრდაზე და შესაბამისად ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად თანამშრომლობის საჭიროებაზე. ეს კი, როგორც ირკვევა ხდება მიღწევადი დებატების პროგრამის საშუალებით.

საბოლოო ჯამში, კვლევის რაოდენობრივ ნაწილში გამოიკვეთა, რომ დებატების პროგრამა პოზიტიურად მოქმედებს ახალგაზრდებზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დებატების პროგრამა მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს და პოზიტიური ზეგავლენა აქვს სამიზნე ჯგუფზე, თუმცა აღნიშნული შედეგები უფრო თვალსაჩინოა თვისებრივი კვლევის ნაწილში, სადაც ფოკუს-ჯგუფებისა თუ კვლევის მონაწილეთა უკუკავშირების ფორმების ანალიზია წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია

- Asendorpf, J. B. (2015). *Persönlichkeitspsychologie*. Heidelberg: Springer Medizin Verlag.
- Brandstätter, V., & Jürgen, O. H. (2009). *Handbuch der Allgemeinen Psychologie-Motivationen und Emotion*. Horgrefe Verlag.
- Davis, M. (2022, December 31). *Social media key factor behind rise in youth violence, experts warn*. Retrieved from The Independent Web site: <https://www.independent.co.uk/news/uk/social-media-violence-london-croydon-phd-b1984798.html>
- Goffman, M. L. (1982). *Enzyklopädie der Psychologie Persönlichkeitsdiagnostik*. Hogrefe Verlag.
- Hedges, C. (2003). *What Every Person Should Know About War*.
- Jacob, C. (2021, March 23). *How Social Media Affects Communication Skills?* Retrieved from Up Journey Web site: <https://upjourney.com/how-social-media-affects-communication-skills>
- Kilmann, T. (2010). *Conflict Mode Instrument*.
- McDonald, R. D. (2000). The Great Debate, Debate: The educational and societal benefits. *WWU Honors Program Senior Projects*, 235.
- Mental Health May Benefit from Face-to-Face Social Contact – But Not Online*. (2018, November 20). Retrieved from Psych Central Web site: <https://psychcentral.com/news/2018/11/20/mental-health-may-benefit-from-face-to-face-social-contact-but-not-online#1>
- Morris, B. (2018, September 10). *Most Teens Prefer to Chat Online, Rather Than in Person*. Retrieved from The Wall Street Journal Web site: <https://www.wsj.com/articles/most-teens-prefer-to-chat-online-than-in-person-survey-finds-1536597971>
- Randolph, P. (2016). *The Psychology of Conflict: Mediating in a Diverse World*.
- Schmoll, W. (2013). *Evaluation Jugend Debattiert*. Gemeinnützige Holie-Stiftung.
- The Social Dilemma: Social Media and Your Mental Health*. (2022, January 21). Retrieved from McLean Web site: <https://www.mcleanhospital.org/essential/it-or-not-social-medias-affecting-your-mental-health>